ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4074106

ნომერი: AR1605249

თარიღი : 17.07.2018

გაცემის თარიღი : 20.07.2018

გაცნობის თარიღი : 20.07.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N19, ქ.თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N17;

დამკვეთი-განმცხადებელი
- არჩილი ხვედელიანი პ/ნ 01008016998
- არაყიშვილის ქ#14

ორგანიზაცია:
- შპს"ექსინპრო" კოდი: 202294338

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : სასაწყობე შენობა-ნაგებობა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.geმეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1605249 განცხადებით მომართა, არჩილი ხვედელიანმა და მოითხოვა, ქ. თბილისში, ვაკეში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №19-ში / ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №17-ში, „EXINPRO” LTD შპს

„ექსინპრო“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202294338) საკუთრებაში არსებულ №01.14.05.006.120 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის ლეგალიზება, „პროექტისშემთანხმებელი და მშენებლობისნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660–ე ბრძანებულებითდამტკიცებული წესის თანახმად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 96-ე მუხლის თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, გადაამოწმა მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია და გაარკვია შემდეგი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 მაისის №3976921 ბრძანებით, არ დაკმაყოფილდა არჩილი ხვედელიანის №AR1600607 განცხადება და უარი ეთქვა ქ. თბილისში, ვაკეში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #19-ში / ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №17-ში, „EXINPRO” LTD შპს „ექსინპრო“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202294338) საკუთრებაში არსებულ #01.14.05.006.120 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის ლეგალიზებაზე. ხოლო უარის თქმის მიზეზად მითითებული იქნა , რომ არ დასტურდებოდა სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ობიექტის მშენებლობის 2007 წლის 01 იანვრამდე დასრულების ფაქტობრივი გარემოება.

№AR1600607 განცხადებაზე თანდართული და №AR1605249 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტების ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ არჩილი ხვედელიანის მიერ №AR1605249 განცხადებით მოთხოვნა დაყენებულია იმავე ობიექტის ლეგალიზებაზე, რომლის ლეგალიზებასაც იგი ითხოვდა №AR1600607 განცხადებით, სახეზე უცვლელადაა ის სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელთა არსებობაც საფუძვლად დაედო 2018 წლის 30 მაისის №3976921 ბრძანების გამოცემას, არ არსებობს ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებები და სამართლებრივი ან ფაქტობრივი მდგომარეობა არაა შეცვლილი იმგვარად, რომ შექმნილი იყოს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის წინაპირობა ანუ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული ვერ იქნება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 102–ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, „განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალურიადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემას.“

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ არჩილ ხვედელიანს უარი ეთქვას განხილვაზე №AR1605249 განცხადების, რომლითაც მოთხოვნა დაყენებულია ქ. თბილისში, ვაკეში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #19-ში / ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას 1უჩა №17-ში, „EXINPRO” LTD შპს „ექსინპრო“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202294338) საკუთრებაში არსებულ №01.14.05.006.120 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის ლეგალიზებაზე.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 51-ე მუხლის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის, 54-ე მუხლის, მე-100 მუხლის პირველი ნაწილის და 102-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-2 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო

სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას არჩილ ხვედელიანს განხილვაზე №AR1605249 განცხადების, რომლითაც მოთხოვნა დაყენებულია ქ. თბილისში, ვაკეში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #19-ში / ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას 1უჩა #17-ში, „EXINPRO” LTD შპს „ექსინპრო“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202294338) საკუთრებაში არსებულ №01.14.05.006.120 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის ლეგალიზებაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.